საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-1529
17/05/2023

1529-გ-2-202305171532

**შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“**
**დირექტორს ბატონ გიორგი შუხოშვილს**

**ბატონო გიორგი,**

შპს ,,საქართველოს მელიორაცია“-მ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2023 წლის 10 მაისის N04/126 წერილი და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებას.

გაცნობებთ, რომ ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების პოლიგონის ქვემოთ არსებული სამელიორაციო დანიშნულების მიწისქვეშა მილსადენების რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია გაგზავნილია საქართველოს ქონების მართვის სააგენტოში. მილსადენების აღნიშნული მონაკვეთები არ იყო რეგისტრირებული, რის გამოც მელიორაციის კომპანიის მიერ Nგ-3787 (11.09.2019) წერილით მოთხოვნილი იქნა ობიექტზე მისასვლელი გზის გადაკვეთებზე საჭირო საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ რეგისტრირებულ მილსადენებზე.

ამჟამად, გასულ წლებში არარეგისტრირებული მილსადენების მელიორაციის კომპანიის კაპიტალში რეგისტრაციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით, აუცილებელ პირობად მიგვაჩნია დასარეგისტრირებელი მილსადენების გადაკვეთებზე ისეთი მარტივი ტიპის საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც არ დაეყრდნობიან მილსადენს და საიმედოდ დაიცავენ მიწისქვეშა სამელიორაციო ინფრასტრუქტურას მძიმე წონიანი ავტომანქანების ზემოქმედებისგან. ამასთან, პოლიგონის ზონაში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც იკვეთება კომპანიის კაპიტალში რიცხული რეგისტრირებული მილსადენით (ს/კ 84.00.111), უნდა დაიტვირთოს სერვიტუტით ხაზოვანი ნაგებობის ორივე კიდიდან 7-7 მეტრის მანძილზე(ხაზოვანი ნაგებობის სიგანე დაახლოებით 3,5 მეტრს შეადგენს).

ამავე დროს, შესაძლებელია ობიექტთან მისასვლელი სამანქანო გზის ტრასის შერჩევა ისეთი მიმართულებით, რომელიც მინიმალურად შეამცირებს სამელიორაციო დანიშნულების მილსადენების გადაკვეთების რაოდენობას.

რაც შეეხება გარე წყალარინების სისტემას, ხაზოვანი ნაგებობის გადაკვეთა აუცილებელია განხორციელდეს მის პერპენდიკულარულად, შესაბამისი პროფილით, არანაკლებ 8 მეტრის მთლიანი კონსტრუქციით, რადგან არ მოხდეს ფილტრაციული კერების გაჩენა ნაგებობის არეალში.

ასევე აუცილებელ პირობად მიგვაჩნია, აღნიშნული სამუშაოების ჩატარებას ესწრებოდეს კომპანიის დაქვემდებარების ალგეთი-ტბისი-კუმისის სერვის ცენტრის წარმომადგენელი.

დანართი: შპს ,,საქართველოს მელიორაციის" კაპიტალში რიცხული, რეგისტრირებული და დასარეგისტრირებელი მილსადენების SHP ფაილები.

პატივისცემით,

გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი